ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალი ლეჩხუმი

პირველად იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი

რაიონის გამგეობისა და საკრებულოს ორგანო

რეგისტრაციის ნომერი №57/1-180

№24 (58) აპრილი, 2007 წელი

ფასი 30 თეთრი


## აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბედქა და დაა, გვაქრასონ—ჩვენ მის ქაბნით დავლიოთ დღენი

რას ნიშნავს 9 აპრილი ჩვენთვის, ჩვენი ისტორიისათვის?

9 აპრილი ჩვენი ტკივილია, ჩვენი სისხლია და ცრემლი, 9 აპრილი ჩვენი ამაღლებაა, სიამაყე და გამარჯვება.

9 აპრილი უნდა შევიგრძნოთ, გავისიგრძეგანოთ, ამ დღეს ჩაეყარა საძირკველი თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობისათვის ბრძოლას.

9 აპრილმა ქართული საზოგადოება ერთ მუშტად შეკრა, შეადუღაბა, ასე ერთიანი ერი არასოდეს ყოფილა.

ჩვენ ვამაყობთ იმათი სახელებით, ვინც 9 აპრილის ღამეს შეეწირა, ვგლოვთ უმოწყალოდ დაჩეხილ მამულიშვილებს, რომელთა სისხლი ზეცას ერთვის და გვაფრთხილებს: გვიყვარდეს ერთმანეთი, გვიყვარდეს მამული და გვტკიოდეს იგი.

ამ სისხლს სამშობლო ჰქვია.

მარადი იქნება ქართველთა თაყვანისცემა 9 აპრილს დაღუპულთა მოწამეობრივი სისხლის წინაშე.

***

ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის (თ. ჭაბუკიანი) ხელმძღვანელობით ქალაქის ცენტრში 9 აპრილის მემორიალთან საბავშვო ბაღის აღსაზრდელები და ახალგაზრდები შეიკრიბნენ. №2 ბაგა-ბაღის აღსაზრდელებმა ყვავილებით შეამკეს მემორიალი, სანთლები დაანთეს 9 აპრილს დაღუპულთა სულების მოსახსენიებლად.

### მერაბ კოსტავა

ვით მღვრიე ტალღები–შეიხნი, ხოჯები,
ვამპირულ ცოფით და სატანურ ღოჯებით,
აღიძვრნენ, უძღოდათ მჴერათა მჴარავი
არაბულ ტაიჭით მქროლავი არავი.
დუშმანს გაეგება დავით თოროსანი–
მესიის ელვა და ედემის ხოსანი
და ბოცომკალივით მომდგარი საჭარას
მკლავზე დაიგრიხა, მშვილდივით წახარა.
გულდაგულ შემუსრა მტარვალთა კერპები,
გველს და ბასილისკოს დაასო ტერფები,
ბაღდადურ ღრიანკალს დასთხარა ჭანგები,
იდიდოს მადლი და კურთხევა განგების!
აქეთ იყალთოთი, იქით გელათითა,
მაცხოვარ, მან შენი სახელი ადიდა!
აღსავლის კარიდან ასტეორცნა არწივი,
ზეცას დაუბრუნდა სერაფიმ ბარძიმი.

## „საქმე მხოლოდ ხალხთან მჭიდრო კონტაქტით გამოგვივა"

### ინტერვიუ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, ბატონ ზურაბ ხეცურიანთან

**ბატონო ზურაბ! თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ თქვენ ისევ მმართველ რგოლში მოხვედით. არც ერთი თანამდებობა და რეგალია მართალია, თქვენთვის უცხო არ იყო, მაგრამ მაინც, დღევანდელი გადასახედიდან რას ნიშნავს იყოთ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე?**

—უპირველეს ყოვლისა, ეს ნიშნავს იმას, რომ კიდევ ერთხელ ვიკისრო გარკვეული პასუხისმგებლობა ჩემი რაიონის, მეზობლებისა და მეგობრების წინაშე და ამასთანავე, მართალია რეგალია-რეგალიაა, მაგრამ მიმაჩნია, რომ გარკვეული გამოცდილება აუცილებელია. მე ეს გამოცდილება მაქვს—პირველი და მეორე მოწვევის სპიკერი გახლდით, აქედან გამომდინარე, ჩემთვის ნათელია თვითმმართველობა, როგორც ინსტიტუტი, თუმც დიდ განსხვავებას ვხედავ იმ ეტაპს შორის, რომელიც 90-იანი წლების ბოლოს დაიწყო და მოვიდა 2003 წლამდე.

კიდევ ერთი—თანამდებობა მაშინ არის მისაღები და ნორმალური, თუ ამ თანამდებობის აწევა შეგიძლია, ანუ იმ საქმის კეთება ძალგიძს, რომელიც გევალება კანონით, ადამიანური მორალით, შინაგანი მრწამსით.

**თქვენ აღნიშნეთ, რომ ძალიან დიდ განსხვავებას ხედავთ თვითმმართველობის უკვე არსებულ და ახლანდელ მოდელს შორის. როგორ ფიქრობთ, სასიკეთო და პოზიტიურია ეს განსხვავება და ცვლილებები?**

—თვითმმართველობის ის მოდელი, რომელიც 90-იან წლებში დაფიქსირდა, ახალი მოდელი იყო თვითმმართველობისა. იმ ეტაპისათვის ეს იყო წინ გადადგმული ნაბიჯი თვითმმართველობის თვალსაზრისით, თუმცა შემდეგ, როცა შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით არ გამაგრდა, რადგან მაშინდელ საკრებულოს არ გააჩნდა საკუთარი ქონება, ბიუჯეტის განკარგვის ის წესი, რომელიც დღეს არის ჩამოყალიბებული, არ გააჩნდა საკადრო ცვლილებებში აქტიურად ჩარევის პოზიცია, ამიტომ ხშირად მისი ფუნქცია მხოლოდ რაიონული ბიუჯეტის განხილვით და იმ მეთოდოლოგიების დაკანონებით შემოიფარგლებოდა, რომელსაც რესპუბლიკური ორგანოები გვაწოდებდა. დღეს უკვე სხვაგვარადაა, დამუშავების სტადიაშია ის, რომ საკანონმდებლო ნორმაში ექცევა ყველაფერი. უპირველეს ყოვლისა, ფაქტიურად, მუნიციპალიტეტის ქონების შესახებ მიღებული იქნა შესაბამისი კანონი და უახლოეს მომავალში მუნიციპალიტეტი გახდება რეალური ქონების პატრონი, ამასთანავე უფრო გამოთანაბრებითი ტრანსფერის დაფუძნებამ და შემოღებამ ქვეყანაში მოიტანა ის, რომ ბიუჯეტის განკარგვის უფრო რეალური საშუალება არსებობს, იმიტომ, რომ სანამ დაიგეგმება ცენტრში. ალბათ, ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ უფრო კარგად იცის სად უნდა გამოიყენოს ყოველი თეთრი.

განსაკუთრებული ექსკლუზიური უფლება-მოსილება აქვს საკრებულოს საკადრო საკითხებში. თუნდაც ის, რომ საკრებულო განსაზღვრავს ვინ იქნება აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირი, ეს აშკარად დემოკრატიული ნაბიჯია.

**გაზეთმა „ახალმა ლეჩხუმმა" მართალია უკვე დაბეჭდა ინტერვიუ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან და ვისაუბრეთ იმ ძირითად მიზნებზე რაც თვითმმართველობის ამ რგოლს აქვს დასახული, მაგრამ გვაინტერესებს, თქვენ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, გაქვთ ცალკე გამიჯნული ფუნქციები?**

—საკრებულო კოლეგიალური ორგანოა, თუმცა კანონი გარკვეულად გამოკვეთს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილისა და სხვა თანამდებობის პირების ფუნქციებს, მაგრამ ვინაიდან წარმომადგენელობითი და კოლეგიალური ორგანოა, მაინც ჯობია გუნდური პრინციპით და კოლეგიალობით ვიმუშაოთ. ეს ასეცაა ჩვენთან, ეს საქმეს უფრო წაადგება და უფრო მომგებიანია. თუმცა, იმას, რასაც კანონი გვავალებს უპირველეს ყოვლისა შესასრულებელია.

**რა პრიორიტეტებზე აიღეთ აქცენტი?**

—უპირველესად, მუშაობა რომ გამართო, საჭიროა ჩამოყალიბდეს ის სტრუქტურა, რომელიც წარმატებულად იმუშავებს. ამიტომაც, ნურავის ნუ გაუკვირდება, თუ ჩვენ მარტის თვემდე ვფიქრობდით და ვმუშაობდით იმ საკითხებზე, რომელსაც უნდა დაეფუძნოს საკრებულოს მომავალი, ესაა კომისიები, ფრაქციები, საკრებულოს აპარატი, სხვადასხვა აღმასრულებელი სტრუქტურების ჩამოყალიბება. მე მიმაჩნია, რომ იმაზე დიდი პრიორიტეტი საკრებულოს არ უნდა გააჩნდეს, რომ ყოველი თეთრი რომელსაც ჩვენი მოსახლეობა იხდის გადასახადების სახით, სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტში იყოს მიზანმიმართული, ყოველ თეთრს ჰქონდეს თავისი დანიშნულება და ეს დანიშნულება აუცილებლად უნდა გამოდიოდეს მხოლოდ ერთი პრინციპიდან—შედეგი მოგვიტანოს! ბიუჯეტი საკმაოდ გაიზარდა.

**ბარემ, რადგან ბიუჯეტთან მოვედით—რა გვქონდა, რა გვაქვს, რას ვგეგმავთ მომავალში?**

—იყო პერიოდი, რომ ჩვენი ბიუჯეტი მხოლოდ ქაღალდზე ციფრების დატანით შემოიფარგლებოდა, თუმცა გარკვეული შემოსავლები ფიქსირდებოდა, მაგრამ მახსენდება დრო, როცა წლის ბოლოს იძულებული ვხდებოდით გარკვეულად შეგვემცირებინა ბიუჯეტი. დღეს კი საქმე სხვაგვარად მიდის. დღეს ჩვენი ბიუჯეტი 1 მილიონ 358 ათას ლარამდე მიდის, მოსალოდნელია, რომ მაისის ბოლოს საკრებულოს სხდომაზე კიდევ ერთხელ შემოვიდეს ცვლილება და 100-140 ათას ლარით გაზარდოს ბიუჯეტი.

**და საიდან ელოდებით ძირითად შევსებას?**

—ძირითადად ეს მოხდება იმ ყველაზე დიდი დილემიდან, რომელიც გააჩნდა რაიონის ბიუჯეტს—3 მლნ ვალი ჰქონდა „ლაჯანურჰესს", არა მარტო დავალიანება, არამედ იყო ურთულესი პრობლემები ენერგოდავალიანებების გადახდის საქმეშიც, როდესაც მოწესრიგდა ქვეყნის ხელისუფლებაში ის, რომ მიღწევადი გახდა ბიუჯეტში თანხების ამოღება, თავისთავად აისახა ბიუჯეტის ზრდაც. ეს თანხები ჩვენ კანონიერად გვეკუთ-

გვ.2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „საქმე მხოლოდ ხალხთან მჭიდრო კონტაქტით გამოგვივა“

## ინტერვიუ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან, ბატონ ზურაბ ხეცურიანთან

(დასასრული)

ნოდა „ლაჯანურჰესიდან“. დასამალი არა, რომ არც ერთი საწარმო რაიონში ჯერჯერობით არ მუშაობს, გვინდა არ გვინდა, ეს ერთადერთი საწარმო მაინც რჩება ერთ-ერთ მსხვილ ობიექტად რაიონში.

**და ბატონო ზურაბ ეს გაგრძელდება ყოველივე იმის მიუხედავადაც, რომ ჰესი ჩეხებმა იყიდეს?**

—რა თქმა უნდა. საგადასახადო კოდექსიდან გამომდინარე გარკვეულად ეს თანხები ნაწილდება როგორც ადგილობრივ, ისე რესპუბლიკურ ბიუჯეტში. ჯერჯერობით ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ ძირითად წყაროდ რჩება ლაჯანურჰესი.

**ჩვენ ვისაუბრეთ ბიუჯეტზეც, გეგმებზეც, მიზნებზეც... მაგრამ არსებობს ერთი უდიდესი პრობლემა—ლეჩხუმის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მოწყვეტილია არა მარტო რაიონულ ცენტრს, არამედ ყველა იმ ინფორმაციას, რასაც აკეთებთ, აპირებთ, თუნდაც იმასაც, რასაც ახლა ამ ინტერვიუში ისაუბრებთ. რას გეგმავთ მუნიციპალური საკრებულო საზოგადოებასთან ურთიერთობის გაუმჯობესების თვალსაზრისით?**

—მართალია... ერთია რას გაუკეთებ ხალხს და მეორე, თუ როგორ მიაწვდი შენს მიერ გაკეთებულს. ეს არა მარტო ჩვენი მუნიციპალიტეტის, არამედ საქვეყნო პრობლემაცაა. იმდენი რამ, რაც დღეს რესპუბლიკაში კეთდება, ალბათ ვერც ერთ პერიოდში ვერ გავიხსენებთ. ჩვენი რაიონის გეოგრაფიული მდებარეობა ფრიად სპეციფიურია და ინფორმაციის გავრცელებაში ესეც გვიშლის ხელს, რადგან ფაქტიურად არა გვაქვს საკუთარი ტელევიზია, რადიო, კიდევ მეტი—ახლა ინერგება ინტერნეტით მომსახურეობა, გადაუწყვეტელია ელემენტარული—ფაქსის საკითხიც კი. აი, ეს ყველაფერი ასახვას პოკერს საზოგადოებასთან ურთიერთობაში. საკრებულოს წინა სხდომაზე ჩვენ მივიღეთ შესაბამისი განკარგულება და ვფიქრობთ სხვადასხვა ფორმით—გამსვლელი სხდომებით, ხელმძღვანელი მუშაკების შეხვედრებით, მრგვალი მაგიდების“ მოწყობით, პრესრელიზებით და სხვა მომენტებით, გარკვეულწილად ამოვავსოთ შექმნილი ვაკუუმი. განსაკუთრებით მინდა ხაზი გავუსვა თავისუფალი სატელეფონო ხაზის ამოქმედებას, ამ შემთხვევაში მოქალაქეებს ნებისმიერ მომენტში შეეძლებათ დაუკავშირდნენ საკრებულოსა და გამგეობას და შესაბამისად მათი თხოვნაც გათვალისწინებულ იქნება. მეორე, ადგილობრივი ბიუჯეტი მარტო არ ნიშნავს ქალაქ ცაგერის მოწესრიგებას, ჩვენ გარკვეულად უნდა გამოვანაპიროთ ის პრობლემები რაც ამა თუ იმ სოფელს აწუხებს. წინა საკრებულოს სხდომაზე 174.000 ლარი გამოვყავით სხვადასხვა ობიექტების მშენებლობისათვის და გვინდა, რამ შევეხოთ ყველა სოფელს. შეიძლება ყველა პრობლემა ვერ გადავწყვიტოთ, მაგრამ დავიწყოთ ჯერ ერთ თემში, შემდეგ მეორეში, ანუ, წამოვწიოთ პრობლემებიდან ყველაზე დიდი პრობლემა, ყველაზე სასიცოცხლო.

**რა იგეგმება მშენებლობების თვალსაზრისით?**

—უპირველესად საგზაო ინფრასტუქტურების მოწესრიგება, რადგან ეს ყველაზე დიდი პრობლემაა. გარდა ამისა, ორბელის წყალსადენი, სადაც სამი პროგრამა განხორციელდება, იგივე ტვიშში, ცაგერში. სამთავრობო პროგრამით, სსიფ, ვფიქრობთ წყალსადენის პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ გადავუწყვიტოთ ქალაქ ცაგერს. ეს საკმაოდ თანხატევადია და მიმდინარე წელს ჩვენ ამას შევძლებთ. ერთ-ერთ ძირითად პრობლემად კვლავ რჩება სოფელ ლასურიაშის გზა, ნაპირსამაგრები, რომელსაც ჩვენი ბიუჯეტი და შემოსავლებიულები ჯერჯერობითი ვერ გასწვდება.

**სოციალური პრობლემები ისევ აქილევსის ქუსლად რჩება. თუ გეგმავთ კონკრეტულ ღონისძიებებს ამ მიმართულებით?**

—სოციალური საკითხების მოწესრიგება მარტო ჩვენი რაიონისათვის რომ იყოს პრობლემა, მაშინ ბედნიერები ვიქნებოდით, მაგრამ საბაზრო ეკონომიკას თავისი მკაცრი კანონები გააჩნია. ჩვენ ფაქტიურად შუა გზაზე ვიმყოფებით. სოციალური ყოფის მთავარი მახასიათებელი, ჩემი აზრით რაიონში მაინც არის მძიმე დემოგრაფიულ სიტუაცია და ვინც შემოგვრჩა, იმათი დაუსაქმებლობა. სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ ჩვენ მაინც წავედით გარკვეულ დათმობებზე შტატების შემცირების დროს. რაც შეეხება თვით სოციალურ ყოფას—საუბედუროდ თითოეულ ინდივიდამდე დასვლას კიდევ კარგა ხანს ვერ მოვახერხებთ. ჩვენ თუ გვინდა რომ სოციალური ფონი ამაღლდეს, აუცილებელია კერძო ინვესტიციების მოზიდვა, რაც ნიშნავს გარანტირებულ სამუშაო ადგილს, გარანტირებული სამუშაო ადგილი ნიშნავს გარანტირებულ ანაზღაურებას და გარანტირებული ანაზღაურება კი შემოსავლების ზრდას. თუმც ჩვენ გარკვეული გათვლები მაინც გავაკეთეთ—ახალშობილებზე, ხანდაზმულებზე, განსაკუთრებულად დამსახურებული პიროვნებების, სოციალურად დაუცველი ადამიანების მისამართით. ამით, იმედი გაუჩნდებათ ჩვენს მოქალაქეებს.

**რა ხდება ქონების გადაცემის თვალსაზრისით, კიდევ ერთი და ჩვენი მოსახლეობა განსაკუთრებით შიშით უყურებს, ჩვენი ტყეების გაყიდვას!**

—არაფერი საშიში ამაში არ არის! ყველა უნდა მოვერგოთ საბაზრო ეკონომიკით აზროვნებას. რა დაშავდება იმით, თუ ვანდალურად არ მივექცევით ბუნებას, როგორც ვთქვათ, მოვექცეთ კურორტ „ახალქალას“?“ ჩვენი საუკეთესო ბუნება, ფაქტიურად გავანადგურეთ. უკეთესი არაა, თუ მას ეყოლება პატრონი და ამ პატრონის ნებისმიერი მოქმედება იქნება კანონშესაბამისი? თქვენ გგონიათ ვინმე ხვამლის ან ორბელის ტყეს სადმე წაიღებს და ადგილს შეუცვლის? თუკი რეწვა მოექცევა შესაბამის საკანონმდებლო ჩარჩოებში, ამას რა სჯობია? როცა ეს ტყე, სახელმწიფო ბიუჯეტს აძლევს საკმაო დიდ შემოსავალს, და ეს შემოსავალი გამოთანაბრებითი ტრნასფერით უბრუნდება ისევ მუნიციპალიტეტს, რა არის ამაში ცუდი? ოღონდ ინვენსტორმა 80-90 % ჩვენი მოსახლეობა უნდა დაასაქმოს. მეორე დადებითი მხარე ისაა, რომ ტყეს შევინარჩუნებთ და მესამე—მუნიციპალიტეტს უშუალოდ გადმოეცემა ტყის ის მასივი, რომლის ძირითადი მომხმარებელი არის ჩვენი მოსახლეობა (შეშა, ჭიგო და ა. შ.). ეს საკითხები წელს, ზაფხულის პერიოდში გადაწყდება. მე მიმაჩნია, რომ იმ ობიექტებს, რომელსაც სახელმწიფო ვერ უვლის, დღესვე, უნდა მოხდეს მათი ინვესტორების დაინტერესება.

**და ბოლოს, რა უნდა გააკეთოს მუნიციპალურმა საკრებულომ, რომ მოსახლეობა კმაყოფლი ჰყავდეს?**

—უპირველესად უნდა იყოს მათთან მჭიდრო კონტაქტში, მათი სატკივარი უნდა სტკიოდეს და მათით სიხარული უხაროდეს!

**გმადლობთ!**

მარინა სვანიძე

# საკრებულოს სხდომაზე

2007 წლის 26 აპრილს ჩატარდა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელმაც განიხილა ცაგერის მუნიციპალიტეტის აპარატის დებულება, მოისმინეს სარევიზიო კომისიის მოხსენება „ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2007 წლის I კვარტლის შესრულების შედეგების შესახებ“, ცაგერის მუნიციპალეტიტის გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის დებულება, ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ, ცაგერის მუნიციპალიტეტის 2007 წლის ბიუჯეტის IV მუხლის I პუნქტის (მშენებლობისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში განსახორციელებულ ძირითად სამუშაოთა დამტკიცების შესახებ.

ამასთანავე ცაგერის მუნიციპალიტეტის 2007 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ახალშობილთა ოჯახების დახმარება 2500 ლარის ოდენობით, მაგრამ მედიკამენტებისა და სხვა აუცილებელი პროფილაქტიკაზე ფასების მატების გამო ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტში 2007 წლის 1 იანვრიდან ახალშობილთა ოჯახებზე დახმარების სახით გაიცეს თითოეულ ახალშობილზე 100 (ასი) ლარი.

აქვე მკითხველს გვინდა მივცეთ განმარტება—იმათ, ვინც 1 იანვრიდან აიღო 50 ლარი, დარჩენილი 50 ლარი მიეცემა შესაბამისი განცხადების საფუძველზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოზე აღინიშნა, რომ ქალაქ ცაგერის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე მოქმედი სასაფლაო შევსებულია, რის გამოც 1996 წელს ახალი სასაფლაოს მოწყობისათვის გამოიყო სათანადო მიწის ნაკვეთი, სადაც ამჟამად მიმდინარეობს მიცვალებულთა დაკრძალვა. მიუხედავად ამისა ქ. ცაგერის და მიმდებარე სოფლების მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მიცვალებულთა დაკრძალვას კვლავ ძველ სასაფლაოზე აგრძელებენ, რისთვისაც სასაფლაოს გარე არეალებში კერძო პირებისაგან იძენენ მიწის ნაკვეთს მიცვალებულთა დაკრძალვისათვის, რაც მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებთა უკმაყოფილების მიზეზი ხდება, ამასთან ირღვევა სანიტარული ზონის პარამეტრები, რაც განსაზღვრულია უახლოესი საცხოვრებელი ბინიდან არაუახლოეს 50-დან 100 მეტრამდე.

აღნიშნულ საკითხზე საკრებულომ მიიღო დადგენილება:

1. მიღებულ იქნას ქ. ცაგერის მოსახლეობის თხოვნა და ქ. ცაგერის მიძინების ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე მოქმედი სასაფლაო გამოცხადდეს დახურულად.

2. აეკრძალოს ქ. ცაგერის სასაფლაოს გარე არიალებში ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ სასაფლაოს გაფართოების მიზნით მიწის ნაკვეთების გასხვისება, თუ იგი კანონშესაბამისობაში არ იქნა მოყვანილი საქართველოს სანიტარული კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 26 აპრილის სხდომამ იმსჯელა საზოგადოებისა და ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ:

—პრაქტიკაში დაინერგება საკრებულოს ხელმძღვანელი პირების გასვლა მუნიციპალიტეტის თემებსა და სოფლებში ადგილობრივი პრობლემების უკეთ შესწავლის და გადაწყვეტის ღონისძიებების განხორციელების მიზნით;

—„ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულებით“ პრაქტიკაში დაინერგება „ღია კარის“ სხდომები, რისთვისაც თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულმა ამომრჩეველმა განცხადებით უნდა მიმართოს საკრებულოს აპარატს ღია სხდომის ჩატარებამდე სამი დღით ადრე მაინც.

—საკრებულოში არსებული ინფორმაცია საჯაროა, გარდა კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისისა და საკრებულოში ინიშნება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი.

—ცაგერის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული და რელიეფური მდებარეობიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩაითვალოს საკრებულოში „თავისუფალი სატელეფონო ხაზის შემოღება 24 საათიანი მორიგეობით, რისთვისაც გამოიყოს მობილური კავშირი ნომრით 899 64 38 13, 899 19 67 51 და საინფორმაციო ანალიტიკური და საზოგადოებრივი ურთიერთობის სამსახური, სადაც შემოსული ნებისმიერი შეტყობინებას აპარატის უფროსი აღრიცხავს, მოხსენდება საკრებულოს თავმჯდომარეს და მათი შესრულების მიმდინარეობაც გაკონტროლდება.

—ჩატარდება გამსვლელი სხდომები რეგიონებსა და თემებში, სადაც განიხილება რეგიონთან დაკავშირებული მისი სოციალურ-ეკონომიკური შემდგომი განვითარების საკითხები.

—ჩატარდება ე.წ. „მრგვალი მაგიდის“ ტიპის შეხვედრები, რომელშიდაც მონაწილეობას მიიღებენ თვითმმართველი ერთეულის და საზოგადოების წარმომადგენლები.

—გამოიცემა საინფორმაციო ბიულეტენები და „ცნობის ფურცლები“, სადაც აისახება საკრებულოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტი, განკარგულება, გეგმა და ახალი პროგრამა ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სამხატვრო სკოლა

# „მთავარია, ბავშვებს ესთეტიკური აღქმის უნარი გამოვუმუშავოთ...“

*ცაგერის სამხატვრო სკოლამ სულ ახლახანს ძირეული ცვლილებები განიცადა. ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად და მიენიჭა სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი. ასეთი სასწავლებელი მთელს საქართველოში სულ 8 გახლავთ. მისასალმებელია, რომ აქედან ერთ-ერთი ჩვენს რაიონშია. ამის წინა პირობა, სწორედ, ამ სკოლის დიდი ტრადიციებია, რომელსაც პრაერთი თაობა აღუზრდია. ბევრმა პროფესიად გაიხადა აქ აღმოჩენილი ტალანტი და ისევ მშობლიურ რაიონს დაუბრუნდა, ზოგმაც გზა სხვაგან გაიკვლია. აღსანიშნავია, რამდენიმე თვის წინ სამხატვროს დირექტორად ამავე სკოლის კურსდამთავრებული, ნიჭიერი ახალგაზრდა, გია დავითულიანი დაინიშნა. მას ბევრი ახალი იდეა აქვს, რომლის განხორციელებასაც ადგილობრივი მთავრობის მხარდაჭერითა და ხელშეწყობით აპირებს. ჩვენ თავად შევხვდით და ვესაუბრეთ:*

„საჯარო სამართლის იურიდიული პირი—ქ. ცაგერის სამხატვრო სკოლა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონების საფუძველზე შექმნილი სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს ამ განხრით პროგრამებს, დაწყებით საფეხურზე.

ძირითადად, ჩვენი სკოლის მიზანი გახლავთ მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამხატვრო განათლება, ხელოვნებასთან ზიარების თანაბარი პირობების შექმნით ხელი შეუწყოს პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებას, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას და ამ გზით მის შენარჩუნებას, გარესამყაროს მხატვრულად აღქმის უნარის ჩამოყალიბებას. აგრეთვე ვაზიაროთ მოსწავლეები ხელოვნების საფუძვლებს. გავაცნოთ და შევაყვაროთ მათ ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიოს ხელოვნების ნიმუშები. ვიზრუნოთ, პირველ რიგში, მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე. გამოვუმუშავოთ სამყაროს მხატვრულად აღქმის საკუთარი ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევები, პრაქტიკული მხატვრული აქტივობების განვითარებით.

სკოლაში ფუნქციონირებს ოთხი ჯგუფი, აქედან ერთი მოსამზადებელია, რომელშიც განევრიანებული ბავშვები მომავალი წლიდან შეუდგებიან სწავლას. სულ არის 24 ბავშვი. აღსანიშნავია, რომ ჯგუფები დაკომპლექტებულია არა მარტო ცაგერის, არამედ სხვადასხვა სოფლებიდან მოსული მოსწავლეებით: დეხვირიდან, ლასურიაშიდან, მახაშიდან, ოფიტრიდან. ამ ბავშვებს უდიდესი ნიჭი და უნარი აქვთ ხატვის. მოთხოვნილება აქ სწავლაზე დიდია, მაგრამ განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტის მიღების შესაძლებლობა, ამ ეტაპზე, სკოლას არ გააჩნია. მომავალში კი ვნახოთ.

ძირითადად, ბავშვები აქ ეუფლებიან და სწავლობენ ფერწერას, ქანდაკებას, გობელენს, კომპოზიციასა და ხელოვნების ისტორიას, რომელთაც ასწავლიან თავიანთი საქმის უბადლო მცოდნე და უნიჭიერესი ადამიანები. ესენი გახლავთ: დათო შკუბულიანი, როინ კოპალიანი, გია ლეთოდიანი, დათო ჩიკვაიძე, მაგული ღურჭუმალიძე და მთავარისა შკუბულიანი სწავლების პროცესში სრულ თავისუფლებას ვანიჭებთ ბავშვებს. არ ვზღუდავთ. ვცდილობთ ახალი იდეები დავნერგოთ ჩვენს სასწავლებელში და ამას ნელ-ნელა განვახორციელებთ. გვინდა ჩვენივე სახსრებით ზუგდიდიდან მოვიტანოთ სპეციალური საძერწი თიხა, რომელსაც ქანდაკებაზე მუშაობისათვის გამოვიყენებთ. მასალის არქონის გამო ადრინდელი, სხვა მოსწავლეებისგან შექმნილი სკულპტურული ნამუშევრები დავარღვიეთ, დავალბეთ და იმით ვაძერწინებთ ბავშვებს. პრობლემები ბევრია. არ გვაქვს ელემენტარული პირობები, სწავლებისა. არანაირი სახსრები არ გაგვაჩნია შევიძინოთ მოლბერტები, პლანშეტები, საღებავები. ჩვენ თვითონ რაღაცას ვწვალობთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვალდებულნიც ვართ ბავშვების აზროვნება სწორი კუთხით წარვმართოთ. მიქელანჯელოს თქმისაა არ იყოს ყველა ქვაში ადამიანის სახეა, მთავარია ჩამოვაცილოთ ზედმეტი.



მასწავლებლის საშუალო ხელფასი ჩვენთან 30-35 ლარით განისაზღვრება. სახელფასო ფონდი 563 ლარს შეადგენს. ძირითადად ბავშვების შემონატანზე ვართ დამოკიდებულნი, რომელიც ყოველთვიურად 3 ლარს შეადგენს. პრობლემას წარმოადგენს შენობის მდგომარეობა. წვიმის დროს როგორც გარეთ ისე შიგნით წვიმს. არცერთი ფანჯრის მინა მთელი არ არის. ჩვენ თვითონ გავალამაზეთ ის ოთახი, სადაც ბავშვებს ვასწავლით. ვიცით, რომ ბიუჯეტში ჩასმულია შენობის გასარემონტებული თანხა და იმედი გვაქვს გაკეთდება. ხანდახან უვიცთაგან გავიგონებ რა საჭიროება წარმოადგენს სამხატვრო სკოლა?! ყველა ბავშვი მხატვარი შეიძლება არ გამოვიდეს, მაგრამ ამ პიროვნებებს ესთეტიკის აღქმის უნარი ექნებათ. მთავარი, სწორედ, ესაა და ჩვენც ამასვე ვცდილობთ“.

**ეკა ყვირილიანი**

# 9 მაისი—გამარჯვების დღე

„გამარჯვების დღე“ რა საზეიმოდ ჟღერდა ეს სიტყვა, მრისხანე მტერზე გამარჯვების ძლევის სიმბოლო. 9 მაისის გახსენებისას უცბად გადავდივარ მწარე წარსულში.

1945 წლის 2 მაისს დაეცა ომისა და ბოროტების ციტადელი ბერლინი. რაიხსტაგის თავზე საბჭოთა კავშირის სახელმწიფოს დროშა ქანთარიამ და ეგოროვმა აღმართეს. ერთი კვირის შემდეგ გენერალსიმუსმა იოსებ სტალინმა გამარჯვებულთა სამხედრო პარადი მიიღო. ეს იყო დაუვიწყარი სანახაობა. ხალხი სიხარულისაგან ცრემლებს ვერ იკავებდა...

დასრულდა კაცობრიობის ისტორიაში არნახული მასშტაბის ომი. ასრულდა სიტყვები—„გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება, მტერი განადგურებული იქნება!“

დიდ სამამულო ომს ათეული მილიონობით მეომარი და მშვიდობიანი მოქალაქე შეეწირა... მტერმა შესძლო მოსკოვის გარეუბნებამდე, შემდეგ სტალინგრადამდე მისვლა, მაგრამ ამ ტანჯვა-წამების პერიოდში, საბჭოთა ქვეყანას სათავეში ედგა გენიოსი და ქედმოუხრელი სარდალი სტალინი. იგი იყო მომენტის შესაფერისი და გამოსავალი გზების გამონახვის შეუდარებელი ოსტატი“.—ეს სიტყვები ეკუთვნის უინსტონ ჩერჩილს. იგი ასევე აღნიშნავდა—„სტალინის მთავარსარდლობით ვერმახტის ძლიერება. ხერხემალში იქნა გატეხილი. ნაცისტური არმიის ძლიერება შეიმუსრა...“

ფაშიზმზე გამარჯვების საქმეში თავისი წვლილი მიუძღვის ჩვენი რაიონის შვილებს. ომში ამ პატარა რაიონიდან მონაწილეობდა 7500 მეტი მეომარი, რომელთა ნახევარმა თავი შესწირა ქვეყნის განთავისუფლებას. ამით სასახელო ფურცელი ჩაწერეს გამარჯვების მატიანეში. აქ მხოლოდ რამოდენიმეს დავასახელებთ: ბავშვობა და ყრმობა სოფელ სპათაგორში გაატარა არჩილ გელოვანმა, შემდგომში სახელმოხვეჭილმა მხედართმთავარმა, თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, საინჟინრო ჯარების მარშალმა. აღვლი გიორგი ყურაშვილი, მამაცი გენერალი, 414-ე ქართული ეროვნული დივიზიის მეთაური იყო გ. ყურაშვილის დივიზიამ თავი გამოიჩინა კავკასიის დაცვისათვის. ქალაქ ანაპის აღებისათვის დივიზიას „ანაპის“ სახელი მიანიჭეს. შესანიშნავი საბრძოლო-მხედრული გზა განვლეს ოყურეშელმა პოლკოვნილმა კოტე მამარდაშვილმა, ლასურიაშელმა, პოლკოვნიკმა გრიგოლ კანაჩაძემ, ნაკურალეშელმა სახელმოხვეჭილმა მფრინავმა, პოლკოვნიკმა ამბაკო გოლეთიანმა, პოლკოვნიკმა კარლო კაჭკაჭაშვილმა, ჩვენი რაიონის წარგზავნილმა ტანკისტებმა, მფრინავებმა, არტილერისტებმა, ჯარის სხვა სახეობების მეომრებმა, რომელთა ჩამოთვლა ამ პატარა წერილში შეუძლებელია. მათ მთავრობის ქალალდები, მთავრობის სარდლის ი.ბ. სტალინის მადლობა დაიმსახურეს.

მამაკაცებთან ერთად სახელოვანი საბრძოლო გზა განვლეს მეომარმა ქალებმა ბერტა ყურაშვილმა, მარიამ მუშკუდიანმა და სხვებმა.

გამარჯვებას დიდი მსხვერპლი ახლდა თან. ბევრი მტრის ტყვიამ იმსხვერპლა. ომის პირველ თვეებში, ასევე ყირიმის ფრონტზე ბევრი ქართველი ტყვედ ჩავარდა.

მიუხედავად საშინელი პირობებისა, ზოგიერთი ახერხებდა საკონცენტრაციო ბანაკებიდან (რომლებიც ევროპის ქვეყნებში მოაწყვეს გერმანელებმა) გაქცევას და პარტიზანებთან შეერთებას, მათთან ერთად ებრძოდნენ გერმანელ ოკუპანტებს. რამდენიმე მაგალითი—გერასიმე ცხვედიანი იტალიაში პარტიზანების მხარდამხარ იბრძოდა—ტვიშელი არჩილ ახვლედიანი ფრანგ პარტიზანებთან ომობდა, ნაკურალეშელი ორენტი ყურაშვილი იუგოსლავიაში პარტიზანებთან ერთად შიშის ზარს სცემდა ფაშისტებს. პარტიზანული ცხოვრების სამაგალითო გზა განვლო ორბელელმა შალვა გოგებაშვილმა. მადლიერმა პოლონელმა ხალხმა მას ვარშავის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

მტერი დამარცხებული იქნა ამიტომაც, რომ ფრონტი დაუბრკოლებლად მარაგდებოდა ზურგის მუშაკების თავდადებული შრომით. ჩვენი რაიონის მშრომელებიც დღე და ღამ შრომობდნენ, ეხმარებოდნენ ფრონტს.

დღევანდელ გამარჯვების დღეს 9 მაისს ომის ვეტერანები ვეღარ ვხვდებით ჩვეული აღფრთოვანებით. ომიდან დაბრუნებული 3500 კაციდან დღეს 74 ჯანგატეხილი, ავადმყოფი ვეტერანია ცოცხალი.

მადლიერების გრძნობით ვართ გამსჭვალული ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, მუნიციპალიტეტის გამგეობამ ომგადახდილებს 9 მაისს დღესასწაული მიულოცეს.

მიუხედავად გარკვეული სირთულეებისა, რაიონის ხელისუფლებამ გამონახა საშუალება და კაპიტალური რემონტი გაუკეთა ქალაქის ცენტრში ომში დაღუპულთა მემორიალს, რაც ყველა მნახველის და განსაკუთრებით ომის ვეტერანების დიდ სიამოვნებას, აღტაცებას იწვევს, მადლობა თქვენ, კეთილ ადამიანებს.

გილოცავთ გამარჯვების დღეს 9 მაისს, ძვირფასო ომის ვეტერანებო!

**შალვა ცვარიანი,**
**რაიონის ომის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე**

# ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №79

### ქ. ცაგერი, 28 მარტი 2007 წელი

*„ცაგერის მუნიციპალიტეტის 2007 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 8 თებერვლის დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ.*

*2007 წლის 8 თებერვალს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა „ცაგერის მუნიციპალიტეტის 2007 წლის ბიუჯეტის შესახებ“_საკითხი, რომლის დაზუსტება მოხდა 2007 წლის 28 მარტის საკრებულოს სხდომაზე.*

*გთავაზობთ ბიუჯეტის დაზუსტებულ ვარიანტს.*

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–16 მუხლის მე–2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 22–ე მუხლის 1 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და „საბიუჯეტო სისტემის შესახებ,“ საქართველოს კანონის საფუძველზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს .ცვლილება ცაგერის მუნიციპალიტეტის 2007 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში.

განისაზღვროს ცაგერის მუნიციპალიტეტის 2007 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 1358,5 ათ. ლარით თანახმად №1 დანართისა.

მათ შორის:

1. საგადასახადო შემოსავლები_675,0 ათ. ლარი.

მათ შორის:

_საშემოსავლო გადასახადი_364,0 ათ. ლარი.

_ადგილობრივი გადასახადები _311,0 ათ. ლარი.

მათ შორის:

–ქონების გადასახადი_311,0 ათ. ლარი.

მათ შორის:

ა) საწარმოთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადი 291,0 ლარი.

ბ) არასასოფლო სამეურნეო მიწის გადასახადი 20,0 ათ. ლარი.

II. არასაგადასახადო შემოსავლები განისაზღვროს 634,3 ათ. ლარით.

მათ შორის:

1. მოსაკრებლები_73,3 ათ. ლარით.

2. შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან_17,5 ათ. ლარით.

3. შემოსავალი ადგილობრივი ორგანოების შესაბამისი სამსახურების მიერ გაწეული მომსახურებიდან (სპეც- სახსრები)_7,5 ათ. ლარით.

4. შემოსავალი ფინანსური დახმარებიდან (ტარნსფერებიდან) – 536,0 ათ. ლარით.

III. შემოსავალი კაპიტალის ოპერაციებიდან განისაზღვროს 30,0 ათ. ლარით.

სულ საგადასახადო არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების საერთო მოცულობა განისაზღვროს 1339,3 ათ. ლარით.

IV. შემოსავალი ხარჯების დასაფარავად მიმართული წლის დასაწყისისათვის არსებული სახსრების ნაშთიდან შეადგენს 19,2 ათ. ლარს.

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2007 წლის გადასახდელების მოცულობა განისაზღვროს 1358,5 ათ. ლარის ოდენობით ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით თანახმად №2 დანართისა.

დადგენილების I. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

_აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობების გადასახდელების ჯამი განისაზღვროს 545.9 ათ. ლარით.

აქედან:

–ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხარჯების მოცულობა განისაზღვროს 513,9 ათ. ლარით.

მათ შორის:

–წარმომადგენლობითი ორგანოების 183,5 ათ. ლარით.

–აღმასრულებელი ორგანოების 330,4 ათ. ლარით.

_სარეზერვო ფონდი განისაზღვროს 20.0 ათ. ლარით.

_სახელმწიფო არქივის ხარჯების საერთო მოცულობა განისაზღვროს 7,0 ათ. ლარით.

II. თავდაცვის ხარჯების საერთო მოცულობა განისაზღვროს 7,9 ათ. ლარით.

მათ შორის

_სამხედრო განყოფილების_5,9 ათ. ლარით.

_სამოქალაქო თავდაცვის_2,0 ათ. ლარით.

III. საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების საერთო ხარჯები განისაზღვროს 75,4 ათ. ლარით.

მათ შორის:

_ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის_66,4 ათ. ლარით.

_პოლიციის_9,0 ათ. ლარით.

IV. ეკონომიკური საქმიანობის დაფინანსება განისაზღვროს 204, 6 ათ. ლარით.

მათ შორის:

_მშენებლობა_174,6 ათ. ლარით.

–ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა-პატრონობა_30,0 ათ. ლარით.

VI. საბინაო–ეკონომიკური მეურნეობის ხარჯები განისაზღვროს 69,7 ათ. ლარით.

მათ შორის:

–წყალმომარაგება_22,0 ათ. ლარით.

–გარე განათება და კეთილმოწყობა_12,0 ათ. ლარით.

_საბინაო_კომუნალური მეურნეობის განვითარება_32,0 ათ. ლარით.

_სხვა არაკლასიფიცირებული საბინაო-კომუნალური მეურნეობა_3,7.

VII. ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსდეს 52,7 ათ. ლარით.

მათ შორის:

_საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება_10,0 ათ. ლარით.

_სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანდაცვის სფეროში_42,7 ათ. ლარით.

VIII. დასვენება კულტურა და რელიგია დაფინანსდეს 218,0 ათ. ლარით.

მათ შორის:

_№34 კომპლექსური სპორტული სკოლა დაფინანსდეს 21,0 ათ. ლარით.

_სპორტკომიტეტი_15,0 ათ. ლარით.

სახელოვნებო სკოლები_32,5 ათ. ლარით.

_ბიბლიოთეკები კულტურის სახლები, კლუბები –73,0 ათ. ლარით.

–მუზეუმები, სამხატვრო გალერეები, საგამოფენო დარბაზები, ძეგლები, ისტორიული ნაგებობები_23,2 ათ. ლარით.

–კულტურის სხვა ღონისძიებები _33,9 ათ. ლარით.

გაზეთი 10,0 ათ ლარი

_სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში_4,0 ათ. ლარით.

X. სოციალური დაცვის ღონისძიებები დაფინასდეს 53,5 ათ. ლარით.

მათ შორის:

_შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ხარჯები, სხვა პერიოდული და ერთჯერადი დახმარებები 9,6 ათ. ლარით.

_ხანდაზმულთა სოციალური დაცვა 0,5 ათ. ლარით.

_ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა [illegible] ათ. ლარით.

_სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში 40,9 ათ. ლარით.

XI. სხვა ხარჯების საერთო მოცულობა განისაზღვროს 14,8 ათ. ლარით.

მათ შორის:

–კრედიტის (საბიუჯეტო სესხის) სარგებლობისათვის გადახდილი პროცენტები 10,3 ათ. ლარით.

_ხანძარსაწინააღმდეგო სავალდებულო დაზღვევა 1,5 ათ. ლარით.

_სხვა ხარჯები, რომელიც არ არის კლასიფიცირებული ფუნქციონალური კლასიფიკაციით (სასამართლო) 3,0 ათ. ლარით.

3 დადგენილები ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ო. ჭაბუკიანი**

**ქ. ცაგერი 28 მარტი 2007 წ.**

**დანართი №1**

**ცაგერის მუნიციპალიტეტის 2007 წლის ბიუჯეტის შემოსავლები**

**(ათას ლარებში)**

| № | შემოსავლების დასახელება | მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| I | **საგადასახადო შემოსავლები** მათ შორის: | **675,0** |
| | _საშემოსავლო გადასახადი | 364,0 |
| | _ადგილობრივი გადასახადები მათ შორის: | 311,0 |
| | 1. ქონების გადასახადი მათ შორის: | 311,0 |
| | ა) საწარმოთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადი | 291,0 |
| | ბ) არასასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადი | 20,0 |
| II | **არასაგადასახადო შემოსავლები** მათ შორის: | **634,3** |
| | 1) მოსაკრებლები აქედან: | 73,3 |
| | _ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლები | 73,3 |
| | 2) შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან | 17,5 |
| | 3) შემოსავალი ადგილობრივი ორგანოების შესაბამისი სამსახურების მიერ გაწეული მომსახურებიდან (სპეც. სახსრები) | 7,5 |
| | 4) შემოსავლები ფინანსური დახმარებიდან (ტრანსფერებიდან) | 536,0 |
| III | **შემოსავლები კაპიტალის ოპერაციებიდან** | 30,0 |
| | სულ საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლები | 1339,3 |
| IV | შემოსავლები ხარჯების დასაფარავად მიმართული წლის დასაწყისისათვის არსებული სახსრების ნაშთიდან | 19,2 |
| | | |
| | **სულ შემოსავლები** | **1358,5** |

## დაბიჯებს ღირსეული ქვრივის სახელით

გაზაფხულმა, ქალის დღესასწაულებმა ერთი ქვრივი ქალბატონი გამახსენა.

გამორჩეულია ქართველი ქალის ფენომენი და მით უფრო ქვრივის ღირსება და პატიოსნება.

ტვიშელ მაკა ქვარიანს მეუღლისგან ორი ქალიშვილი დარჩა_თინათინი და მარიამი. მისი მეუღლე ილო გორეზიანი ალბათ საფლავშიც კი შეტორტმანდება სიხარულით და სიამაყით. ღირსეული მეუღლე დატოვა ამ ქვეყნად.

ქალბატონი მაკას მშობლები გია და მალვინა ქვარიანები გახლავან. მადლობა მათ ასეთი შვილის აღზრდისათვის.

ეს წერილი ერთმა გარემოებამ დამაწერინა. წარმოშობით ლეჩხუმელი, რომელსაც უსაზღვროდ მიყვარს ჩემი კუთხე, ათეული წლებია ვცხოვრობ ბაკურიანში. მაქვს საკუთარი სასტუმრო და კაფე-ბარი „ოჯახური“.

ერთ მშვენიერ დღეს მაკა ქვარიანი ჩამოვიდა ბაკურიანში. ეძებდა სამუშაოს, მოვიდა ჩემთან ამიხსნა თავის მდგომარეობა. იმთავითვე მივენდე, შევატყვე რა ადამიანიც იქნებოდა.

და დღეს მუშაობს ჩემთან. ნეტავი ისეთ ოჯახს და ქვეყანას,_ ასეთი დედები და ქალბატონები რომ ჰყავს.

ჩვენს დროში, სამწუხაროდ, თითზე ჩამოსათვლელი არიან ასეთი ქალები.

მაკა ქვარიანი არის არაჩვეულებრივი დედა, არაჩვეულებრივი მოქალაქე და მშრომელი, რომელიც საკუთარ შვილებს დედობასა და მამობას უწევს.

ღმერთმა ამრავლოს მაკასნაირი მანდილოსნები.

**ანგელინა სვანიძე,**
**ბაკურიანი**

## წერილი რედაქციას

## აქ მყიდველი მეფეა

რატომღაც ამ მაღაზიის იშვიათი სტუმარი გახლდით, ერთხელაც შემთხვევით შევაბიჯე და... ძალზე თბილი და გულისხმიერი დახვედრა შევნიშნე. ნინო სალინაძე–გამეცნო თავად მასპინძელი ფასებს მიმოვავლე თვალი და შედარებით კი არა, ბევრ პროდუქტზე გაცილებით დაბალი ფასები ამოვიკითხე. ასორტიმენტი კი ფართო, წესრიგი და სისუფთავე_ნორმალური.

მას შემდეგ ხშირად ვსტუმრობ ამ მაღაზიას. კარგი მომსახურება, ზუსტი წონა, ჩემსა და გამყიდველს შორის რაღაც ჰარმონიაა და... რა ცოტა გვყოფნის ადამიანების იმედისათვის.

ნასიამოვნები გამოვიდვარ მაღაზიიდან, რომელსაც არც დიდი რეკლამა აქვს და არც დიდი ფართი. უბრალოდ, აქ სხვა რამ აღმოვაჩინე და ჩემი დამოკიდებულება აშკარად ხმამაღლა გამოვხატე. მართალი ბრძანდებით,_არა ერთმა დამიდასტურა_მშვენივრად მუშაობსო ჭალისთაველი ცოლ-ქმარი დათო და ნინო სალინაძეები.

მ. გურული

## გმადლობთ!

გაზაფხული ჩამოდგა და ლეჩხუმს კვლავ დაუდგა სტიქიის საშიშროება უეცრად მოვარდნილმა ცხენისწყალმა მახაშიდან ცაგერისკენ მომავალი მგზავრი ქალბატონები, ლასურიაშის აქილევსის ქუსლად ქცეულ მონაკვეთზე. ლამის იმსხვერპლა, მაგრამ ღმერთის ძალამ და კეთილშობილი ახალგაზრდების დახმარებამ, ყველაფერი მშვიდობიანად დაასრულა.

ეს ახალგაზრდები გახლდნენ_ქვედა ცაგერელი **ხვიჩა ხეცურიანი** და **სოსო შაუბულიანი.**

ჩვენ მთელი ლეჩხუმის სახელით, მადლობას ვუხდით მათ მამაცობისათვის.

# სპეციალისტი გვირჩევს

## ფრთხილად გამოვიყენოთ პესტიციდები

გაზაფხული ძალას იკრებს. მცენარეთა გალ–ვიძებასთან ერთად მწვავდება მავნებელ–დაავა–დებებისაგან დაცვის პრობლემა. განსაკუთრებით კი ჩვენს რაიონში, სადაც მთლიანად მოშლილია სპე–ციალისტთა ადრე არსებული რგოლი. ადგილზე მოსახლეობას ხელი არ მიუწვდება მისთვის ნაც–ნობ მცენარეთა დაცვის საშუალებებზე, შექმნილია საკმაოდ ღრმა ინფორმაციული ვაკუუმი. ამას ემატება ისიც, რომ თანამედროვე პესტიციდების შედა–რებით მაღალი ფასები, მათი გამოყენების წესების არცოდნა, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს აიძულებს ისევ ძველი, ვადაგასული ან კონტრაბან–დული საეჭვო პრეპარატები შეიძინოს, რითაც საფრთხეში აგდებს როგორც საკუთარ მოსავალს და ჯანმრთელობას, ასევე გარემომცველ გარემოს.

როგორც ცნობილია, მცენარეთა და ცხოველთა დაცვისათვის გამოყენებული შხამ–ქიმიკატები პეს–ტიციდების სახელს ატარებს (ზუთეშთ–სენი, რღვევა სივუ–მოკვდა) და მათი უმრავლესობა მეტნაკ–ლებად ტოქსიკურია, ამიტომ მათთან მუშაობისას საჭიროა ყველა იმ გამაფრთხილებელი ღონისძიების დაცვა, რომლებიც სოფლის მეურნეობაში ხმარებული პესტიციდების შენახვის, ტრანსპორტირებისა და გა–მოყენების ისტრუქციაშია მითითებული.

მცენარეთა დაცვის საშუალებებთან მომუშავე პირები მოვალენი არიან გაეცნონ პირადი ჰიგიენის დაცვის წესებს. უნდა გვახსოვდეს: მცენარეთა დაცვის საშუ–ალებები ყოველთვის ინახება სპეციალურად გამო–ყოფილ საწყობებში, თითოეულ პრეპარატს უნდა ჰ ქონდეს ეტიკეტი სახელწოდების, პრეპარატის კონ–ცენტრაციისა და გამოყენების ვადის ჩვენებით. მათ–თან მუშაობის ადგილზე უნდა იყოს საველე აფთი–აქი, პირველი დახმარებისათვის საჭირო პრეპარა–ტებით.

პესტიციდებთან მომუშავენი უზრუნველყოფილ–ნი უნდა იყვნენ ინდივიდუალური დამცველი საშუ–ალებებით–კომბინიზონით ან ხალათით, სპეცფეხსაც–მლით, რესპირატორით, სათვალეებით, ხელთათმა–ნებით და სხვა.

მცენართა დაცვის საშუალებებთან მუშაობა ეკრძალებათ ორსულ და ჩვილბავშვიან ქალებს, აგ–რეთვე მოზარდებს 18 წლის ასაკამდე.

პესტიციდებთან მომუშავეებს მუშაობის პრო–ცესში ეკრძალებათ ჭამა, თამბაქოს მოწევა, ჭამის წინ აუცილებელია რამდენჯერმე საპნით ხელპირის დაბანა.

დაუშვებელია სასმელ წყაროსთან, ჭასთან მდი–ნარისა და არხის სიახლოვეს მცენართა დაცვის საშუალებების სამუშაო ნაზავის დამზადება, ან მათი ნარჩენების გადაღვრა. მექანიზებული წესით მუშაობისას დაუშვებელია მანქანის მოძრაობის მო–მენტში ჭანჭიკებისა და ქანჩების მოჭერა, წნევის ქვეშ მყოფი რეზერვუარების გახსნა, გამასხურებლის მუშაობა მანომეტრის გარეშე. მანქანათა ავზები და სხვა ნაწილები ისე უნდა იყვნენ განლაგებული, რომ სამუშაო ნაზავის წვეთები არ ხვდებოდნენ მანქანაზე მომუშავე პირებს.

ნათესების დამუშავება უნდა მოხდეს რეკომენ–დებულ ვადებში. განსაკუთრებით უნდა დავიცვათ ლოდინის პერიოდი ანუ მოსავლის აღების წინ ბოლო შესხურების ვადა.

პესტიციდებთან მუშაობის წესების დაცვა თა–ვიდან აგვაშორებს მრავალ არასასურველ შედეგს.

**დიანა ურთმელიძე,**

**სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ცაგერის რაიონული სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი**

## რაიონის მოსახლეობის საყურადღებოდ!

ცაგერის მუნიციპალიტეტის გეოგრა-ფიული და რელიეფური მდებარეობიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის საკ-რებულოს გადაწყვეტილებით ამუშავდა „თავისუფალი სატელეფონო ხაზი" 24-საათიანი მორიგეობით, რისთვისაც გა-მოიყო მობილური კავშირი ნომრებით: 899 166751, 899 643813.

შეგიძლიათ ნებისმიერი შეტყობინება შეკითხვა, ინფორმაცია მოგვაწოდოთ და ასევე მიიღოთ ჩვენგან კომპეტენტური პასუხები.

ვითანამშრომლოთ და ჩვენი შედეგე-ბიც უფრო ნაყოფიერი იქნება.

**ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**

## ხსოვნა

## თინა ერმილეს ასული კოპალიანი-გუგავა



გაზაფხულია, ჩამოდგა შენი დაბადების დღე–აპრილის 20.

შენს ნალოლიავებ ეზოში ნარცისები ყვავიან, ნიავს ევკალუპტებიან და ამაოდ დაგეძებენ. ვაზი კი–შენი ნაფერები–ცრემ–ლად იღვრება. სადა ხარ, სად გეძებოთ, რატომ არ შეიგრძნობ გაზაფხულს ამ სურნელს, რატომ არ შემოგვძახებ შე–ნებურად ომახიანად.

შარშან ამ დროს ტკივილისგან გა–ტანჯული, მაგრამ მაინც შეტრფოდი სი–ცოცხლეს, იმედი არ დაგიკარგავს, ზაფხულის დადგომასაც შეგასწრო განგებამ და...

ივნისის ერთ ლამაზ ღამეს უჩუმრად, გულდასაწყვეტად წაგიყვანა თავისთან.

უსაშველოდ გვენატრები. შენ ჩვეუ–ლებრივი დედა, მეუღლე და ბებია არ გერქვა. ძლიერი იყავ, გულიანი და პირ–დაპირი, ნაღდი და სიყვარულით სავსე. ახლაც, როცა რაიმე წინააღმდეგობის წი–ნაშე დავდგებით, შენს სულს დავეკითხებით რჩევას, ეს რწმენას გვმატებს, იმედით გვავ–სებს–და გამოსავალიც გამოჩნდება.

სიცოცხლე კი გრძელდება. ასე ყოფი–ლა დასაბამიდან. ალბათ, საფლავში ჩა–მოგწვდებოდა. შენი არაჩვეულებრივი შვილიშვილის–თამუნას დაქორწინების ხმა. რომ იცოდა რამდენი ცრემლი ახლდა ამ დიდ ბედნიერებას, უშენობა ახლდა და ის, რასაც სიტყვები ვერ გამოხატავს.

დაბადების დღეს გილოცავ, ჩვენო დარდო და ტკივილო, ჩვენო ძვირფასო და დაუ–ვიწყარო! აქა ვართ ყველა, შენს საფლავს ვეფერებით,; სანთლებიც გეფერებიან და ყვავილებიც.

შეგიძლია მშვიდად განისვენო. შენი ქმარ–შვილი, შვილიშვილები არაფერს და–ვაკლებთ შენს ხსოვნას, არასოდეს ჩაქრება შენგან ნაადრევად დატოვებული თბილი და სტუმართმოყვარე კერა.

ღმერთს ვთხოვთ სიმშვიდე და სასუ–ფეველი დაგიმკვიდროს. გვიყვარხარ.

**მეუღლე, შვილები, რძალი, შვილიშვილები**

---

მეუღლე ქენია ხაბულიანი, და გოგუცა შკუბულიანი, შვილები მაყვალა, მთვარისა, მადონა, სიძეები ტრისტან ცინარიძე, გია ქურციკიძე, შვილიშვილები კახა, კობა, დათო, ნინო, მაია, ეკა, რძალი დიანა ჯოჯუა, დისშვილები, ძმისშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბიჭიკო ბიქტორის ძე შკუბულიანი**

დაკრძალვა 5 მაისს, შაბათს ქალაქ ცაგერში.

---

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანაუგრძნობს ზურაბ ჩანქსელიანს შვილის

**ბარუკი ჩანქსელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის" სარედაქციო კოლექტივი თანაუგრძნობს ოჯახს

**მეჭი ყურაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის რაიონის მუნიციპალიტეტის საკ–რებულო და გამგეობა იუწყება რომ გარ–დაიცვალა

**მეჭი ალექსანდრეს ძე ყურაშვილი**

და თანაუგრძნობს ჭირისუფალს.

---

ცაგერის რაიონის მუნიციპალიტეტის საკ–რებულო და გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს კარლო კოპალიანს

**ვახტანგ კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე ქენია, შვილები მაყვალა, მთვა–რისა, მადონა შკუბულიანები, სიძეები, შვი–ლიშვილები, უახლოესი ნათესავები იუწ–ყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბიჭიკო ბიქტორის ძე შკუბულიანი**

---

გაზეთ „ახალი ლეჩხუმის" კოლექტივი თანაუგრძნობს ოჯახს

**ვახტანგ კოპალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ბუხუ, შაქრო, ვახტანგი, სოსო, თემურ შკუბულიანები, დავით ზურაბიანი თანა–უგრძნობენ ჭირისუფალს

**ბიჭიკო ბიქტორის ძე შკუბულიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ბუხუ, შაქრო, ვახტანგი, სოსო, თემურ შკუბულიანები, დავით ზურაბიანი, თანა–უგრძნობენ ჭირისუფალს

**ემზარ დათოს ძე ჩანქსელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანაუგრძნობს ქეთინო ბურჯალიანს

**ემზარ ჩანქსელიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ომის ვეტერანთა ცაგერის რაიონული კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა

**პლატონ სემინარის ძე სილაგაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ჭირისუფალს.

---

ომის ვეტერანთა ცაგერის რაიონული კავშირი იუწყება, რომ გარდაიცვალა

**კაკო სერგოს ძე ბენდელიანი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ჭირისუფალს.

---

## თამაზ მდივანი — ხსოვნა



უშენოდ ვხვდებით წლევან-დელ გაზაფხულს და შენს დაბადების დღეს, ჩემო თამაზ! ირგვლივ ყველაფერი ყვავის და ცოცხლობს, შენმა დარგულმა ხეხილმა ათასფრად იფეთქა, ჩვენს გულებში კი ზამთარია და სიცივეა ისევ, შენი დაკარ-გვით გამოწვეული სევდა და სუსხი.

ვფიქრობ და ვერ ამიხსნია, ასეთ ძლიერს რამ დაგრია ხელი, რომ ნაადრევად გამოგ-ვაცალა შენი თავი. ვაჟკაცად დაბადებულმა იცხოვრე. მყარი ნაბიჯებით მიაბიჯებდი ცხოვ-რების გზაზე, იყავი ოჯახის ბურჯი, გიყვარდა შენი ქვეყა-ნა, იცოდი მეზობლის, მეგობრის სიყვარული, ავისა და კარგის, მტრისა და მოყვასის გარჩევა, პატიოსანი შრომის ფასი. შენი შვილებიც ამ პრინციპებით და-ზარდე, გვერდიდან არ იშო-რებდი, რომ არაფერი შეგშლო-დათ, რომ შენეული ყველა თვი-სება მათში ჩაგენერგა. მიაღ-წია კიდევაც მიზანს, ორივენი დააოჯახე, შვილიშვილები გახარებდა „ბაბუს" დაძახება ენერგიას გიათმაგებდა, მაგრამ ბოლოს ულმობელმა და დაუნ-დობელმა სიკვდილმა ჩვენგან წაგვიყვანა და ყველაფერს და-გაშორა; გაიხურე შენი თბილი და ლამაზი ოჯახის კარი და უსაშველო ტკივილი დაგვიტო-ვე.

დრო მიდის, მაგრამ შენი და-კარგვით გულში გაჩენილი მწა-რე ბზარის და ცხოვრებაში დარ-ჩენილი სიცარიელის ამოვსებას ვერაფერი შეძლებს.

ტირის შენი ნაფერები, ნალო-ლიავები ვაზი და შენს გამრჯე ხელს ელოდება, მაგრამ ამაოდ...

ცხოვრების მძიმე ჭაპანი წლების მანძილზე ერთად ვწი-ეთ, შენ ძლიერი იყავი და მე კი შენს გვერდით–ამაყი. ვიცოდით „მეუღლეობის" ფასი და ამ უღელს ორივენი ერთმანეთისთვის დაუმადლებლად ვატარებდით. ახლა კი მხოლოდ ფიქრით და ოცნებით ვსულდგმულობ, ჩვენი ეზო-კარის ყოველ კუთხეში მე-ლანდები, ასე მგონია, სადაცაა ჭიშკარი გაიღება და შემოაბიჯებ, მაგრამ მალევე ვუბრუნდები მწა-რე რეალობას და ჩქარი ნაბიჯით შენ სამუდამო სამყოფელისკენ მოვიჩქარი, დაგტირი მწარედ, გე-საუბრები... ასე გრძელდება ამ თვეების მანძილზე ასე იქნება, სანამ ცოცხალი ვიქნები.

მაისი შენი დაბადების დღეა, 60 წელი შეგისრულდებოდა ჩვე-ნო ძვირფასო ადამიანო, მოვალთ შენს საფლავზე, იქ მოგილო-ცავთ დაბადების დღეს შენი მუღლე, შვილები, რძლები, შვი-ლიშვილები და კიდევ შენთვის უცნობი ორი პაწია შენი სისხლი და ხორცი, რომელთა დაბადებას ვერ მოესწარი.

არასოდეს დავივიწყებთ შენს სახელს, შენს ამაგს, სითბოს, სიკეთეს და კეთილშობილების შენთვის ვილოცებთ და უფალს შევსთხოვთ, სასუფეველში და-გიმკვიდროს ადგილი.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დაბადების დღეს, თამაზ!

**მეუღლე ნათელა მდივანი**

## ვაჟა ბაკურაძის გახსენება



წლები გარბიან... ისინი ვინც გვიყვარდა, ვისი სითბო და სიყ–ვარულიც გვილამაზებდა ცხოვ–რებას, მოულოდნელად წავიდ–ნენ ამ ქვეყნიდან...

ერთი წელი გავიდა ვაჟა ბაკურაძის გარდაცვალებიდან. 15 მაისი მისი, დაბადების დღეა. ცრემლებს აუვსია მისი მეუღ–ლის ზაირა სვანიძისა და შვი–ლის ბაკურის თვალები. ორივე ცოლ–ქმარი ერთადერთი შვი–ლის სკოლის დამთავრებას, უმა–ღლესი სასწავლებლის გაგრძე–ლებას და დაოჯახებაზე ოცნებობდნენ, და–სანანია, რომ ყველაფერი დარჩა აუსრუ–ლებელი.

გამოუთქმელ სევდას ატარებენ დები ნიურა და ნინელი.

ის ყველას დააკლდა: დისშვილებს ნანა, ნატო ჩომახიძეებს, ნინო სილაგაძეს, რძალს ენძელა დათიაშვილს, სიძეებს არიკო მეგ–რელიშვილს, გურამ ჭანტურიას, დისშვი–ლიშვილებს სოფიკო, დათო მეგრელიშვი–ლებს, დისშვილთაშვილს გიორგი ჭანტუ–რიას.

როგორ განიცდიდა მისი დის ნათელას მოულოდნელად წასვლას ამ ქვეყნიდან, რომელმაც სოფელ ლასხანაში მეუღლის კლიმენტი სილაგაძის გვერდით დაიმკვიდრა სამუდამო საცხოვრებელი, 9 მაისი მისი დაბადების დღეა. მანაც ხომ ერთადერთი შვილი ნინო დატოვა და ვერ მოუსწრო მისი სკოლის დამთავრებას...

ვერ აიტანა ტყუპისცალივით შეზრდილი ძმის გიგლას ტრაგიკული გარდაცვალება, რომელმაც ფეხზე გავლამდე ხეზე ავიდა პირველად და სიცოცხლეც ხეზე ასვლით დაასრულა. 6 თვის შემდეგ მასთან ერ–თად გადავიდა მარადისობაში. 16 ივნისი გიგლას დაბადების დღეა.

სამივე და ძმას გილოცავთ დაბადების დღეს.

იყო ოჯახის, დედმამიშვი–ლების თავკაცი, კარგი მამა, მეუღლე, საუკეთესო ძმა, მე–გობარი, ნათესავი, მეზობელი, ამიტომაც იყო რომ მშობლი–ური სოფლის თაბორისა და ქუთაისის მეზობლებმა ცხარე ცრემლით დაიტირა.

იყო, იცხოვრა ნამდვილი კაცის სახელით. მოულოდნე–ლად, უჩუმრად, ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო, ისე წა–ვიდა დღევანდელობით დამძიმებული.

**მენატრებით, და–ძმავ,**
**როგორ მენატრებით**
**ცრემლი მოდის ნაკადულად,**
**ჩანჩქერებად,**
**ვაკვირდები, თქვენს სურათებს**
**ვაკვირდები–**
**აღარ მიღირს მე ამქვეყნად**
**გაჩერება.**

**დები:**
**ნიურა, ნინელი ბაკურაძეები.**

# მოსწავლეთა სპარტაკიადაზე

გაიმართა რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადის ზონალური კალენდალური შეჯიბრებები ფრენბურთში, კალათბურთში და ქართულ ჭიდაობაში. ვაჟთა გუნდებს შორის:

***ორბელის ზონაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:***

I ადგილი — ორბელის საჯარო სკოლა
II ადგილი — ალპანის საჯარო სკოლა;
III ადგილი — ლაჯანის საჯარო სკოლა.

**ცაგერის ზონა**

I ადგილი — ოყურეშის საჯარო სკოლა
II ადგილი —ცაგერის საჯარო სკოლა
III ადგილი — ჩხუტელის საჯარო სკოლა

**ასპარეზობა კალათბურთში**

**ორბელის ზონა**

I ადგილი — ორბელის საჯარო სკოლა
II ადგილი — ლაჯანის საჯარო სკოლა
III ადგილი — ალპანის საჯარო სკოლა;

**ცაგერის ზონა**

I ადგილი — ცაგერის საჯარო სკოლა
II ადგილი — ბარდნალის საჯარო სკოლა
III ადგილი — ჩხუტელის საჯარო სკოლა;

**ქართული ჭიდაობა**

I ადგილი — ჩხუტელის საჯარო სკოლა
II ადგილი — ბარდნალის საჯარო სკოლა
III ადგილი — სპორტული სკოლა.

**ნ. ხეცურიანი**
**ცაგერის №34 კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორი**

# გივი ნოდიას თასზე

დასავლეთ საქართველოს ზონალურ პირველობაზე წარმატებით გამოსვლას აგრძელებს ცაგერის „ხვამლის" ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი (მწვრთნელი პორფილე კოპალიანი).

წელს აპრილში ჩატარებული მატჩების შედეგები ასეთია: „ხვამლი"—„ალავერდი-2": ზესტაფონი 2:0; „მერცხალი" ვანი—„ხვამლი" 1:1; „ხვამლი"—„ბეკო" სამტრედია 3:0.

დღეის მდგომარეობით „ხვამლი" სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილზეა, ტურნირის დამთავრებამდე დარჩა ორი ტური ასევე გასამართი აქვს ორი გადადებული მატჩი. ასე რომ, დარჩენილ შეხვედრაში ჩვენს გუნდს ძალების მაქსიმალური მობილიზება დასჭირდება, რათა ქულათა მაქსიმუმი აიღოს და ტურნირი საპრიზო ადგილზე დაასრულოს.

**გ. სილაგაძე**
**მთ: სპეციალისტი სპორტის სფეროში**

# მექი ალექსანდრეს ძე ყურაშვილი

საქართველოს მუსიკალური საზოგადოება, სრულიად ლეჩხუმი გამოეთხოვა კულტურის დამსახურებულ მუშაკს, ომისა და შრომის ვეტერანს, სახელოვან დირიჟორს, ქართული სიმღერის ერთ-ერთ ამაგდარს ბატონ მექი ყურაშვილს.

ბატონი მექი დაიბადა ცაგერში მოსამსახურის ოჯახში, სწავლობდა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საგუნდო-სადირიჟორო სპეციალობაზე. უკვე 1931 წლიდან იგი მომღერალთა გუნდებს ხელმძღვანელობს ცაგერისა და ლენტეხის რაიონებში.

მექი ყურაშვილის ინიციატივით ქ. ცაგერში 1959 წელს გახსნა სამუსიკო სკოლა, რომლის დირექტორადაც მუშაობდა იგი 1965 წლამდე, პარალელურად ხელმძღვანელობდა ცაგერის სარაიონო კულტურის სახლის მომღერალთა გუნდს, ცაგერის საშუალო სკოლის მოსწავლეთა კაპელას და სხვა.

ბატონი მექი იყო კარგი მამა და მეოჯახე, მუსიკის მოტრფიალე, ქართული სიმღერის დიდი ქომაგი.

რამდენი ახალგაზრდის ყური და სმენმა „გაუწვრთნია", რამდენი გაუზრდია და ჭეშმარიტ მომღერლად უქცევია, მაგრამ მისი მთავარი მიზანი მაინც ანსამბლი და ანსაბლურობა იყო, რამდენი ნამდვილად პროფესიული ანსამბლის წინ გვინახავს ბატონი მექი, როგორც დირიჟორი. რამდენჯერ დავმტკბარვართ მათ მიერ შესრულებული სიმღერით—სიახლით, ღრმა მუსიკალობით, გრძნობათა სიღრმით.

ერთ-ერთი მთავარი მის შემოქმედებით ცხოვრებაში გამოკვეთილად ის არის, რომ საამაყო მუსიკოსები არიან მისი შვილები, ქალბატონი რუსუდანი და ბატონი გურამი, ასევე ბრწყინვალე პიროვნება და შესანიშნავი მოქალაქე ბატონი ზაური—ამ სიამაყეთა ჩამოყალიბებაში უპირველესი წვლილი ბატონ მექის მიუძღვის



1968 წელს მექი ყურაშვილს მიენიჭა საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება, იყო არაერთგზის სხვადასხვა რესპუბლიკური ფესტივალების ლაურეატი და ცაგერის რაიონის საპატიო მოქალაქე, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო მაინც არის ის საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა, რომელსაც ყოველთვის იმსახურებდა ეს თავმდაბალი, უპრეტენზიო კაცი.

დიდი მადლობა თქვენს მიერ გავლილი სამაგალითო გზისათვის.

**კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის სახელით გიორგი კვირიკაშვილი**
**ლეჩხუმის საზოგადოება**

***

***ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება, დაკმაყოფილდა ცაგერის მუსიკალურ სკოლის თანამშრომელთა, მუნიციპალიტეტის გამგეობის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის შუამდგომლობა და ცაგერის მუსიკალურ სასწავლებელს მიენიჭა მელქისედეკ ყურაშვილის სახელი.***

# განწყობისათვის

■ ■ ■

გაყინულ სივრცეს შეუერთდა სულის კივილი,
მთვარის სხივებმა მთვარეულ ფიქრს ხელი მოხვია.
დავბორიალობ შენზე ფიქრში გზააბნეული,
და ფოთოლს ვგავარ ქარწაღებულს—მოწყვეტილს ხიდან
გაყინულ სივრცეს შეუერთდა სულის კივილი
ფიქრს—გზააბნეულს დალაგება არ უწერია.
და ფოთოლს ვგავარ ქარწაღებულს, აცახცახებულს
რა დამამშვიდებს—დაკარგული ვერ მიპოვია...

■ ■ ■

ისე ამებურდა ფიქრის გორგალი
თავი და ბოლო ველარ მოვუნახე
სევდის იალქანი ნავზე ავღმართე
და თავი ბობოქარ ტალღებს მივანდე.
ზღვის ალბატროსმა ჰაერი გაკვეთა:
„ნუ გეშინია:—მიაღწევ ნაპირამდე"...
გულს დაწყნარება ალარ შეუძლია
დავილალე...
მრუმე ღამეში შორს დასალიერს,
სინათლის სუსტი შუქი პრილებს.
ეული ნავი ებრძვის ქარიშხალს,
მივაღწევ ნაპირამდე?..

■ ■ ■

ფიქრმა ფიქრში დაივანა უკვე,
გადაღლილ გულს დასვენება უნდა.
ქარბორბალამ შემიხუთა სული,
ქარაშოტმა დარდი ამიშალა.
გადაღლილ გულს დასვენება უნდა,
თვალხელშუა იპარება წლები,
გახუნდა და წყლის ზვირთებმა შთანქთა,
სიყვარული — ცისარტყელას ფერი.
გადაღლილ გულს დასვენება უნდა,
თვალხელშუა იპარება წლები
მაგრამ მაინც მიიძინა დარდმა,
სიზმრად დაჰქრის ოცნებების ფერი.

**ფატი ფრუიძე**

ბიბლიოთეკაში

# პატივი მივაგეთ კოლეგებს

ცაგერის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გარდაიცვლილთა სულის მოხსენიების დღესთან დაკავშირებით კოლეგების გახსენება გადაწყვიტეს.

ხსოვნის უკვდავსაყოფად გამოფენა მოაწყვეს თბილად და სიყვარულით მოიგონეს აწგარდაცვლილები ნინო ყუბუსიძე,- კლარა ლეთოდიანი, მედიკო სვანიძე, ტატიანა ყურაშვილი, ეთერ ხვადაგიანი, ჟენია მანაგაძე, ლია გუგავა, ლეილა ბენიძე, ესმა ვაწაძე, ციური სილაგაძე, რაისა ხაბულიანი, თინა მამარდაშვილი, ციური კვირკაშვილი.

ისაუბრეს მეგობართა ცხოვრებაზე, გაწეულ მუშაობაზე, სანთლები დაუნთეს, მათი ფოტოები ყვავილებით შეამკეს და პატივი მიაგეს.

**ნ. სადილიანი**

# ეს ჩვენი რეალობაა

–იმისთანა ზამთარი გამოვიარეთ,–წელს შეშა ბლომად უნდა შევიძინოთ.

–იმედი ნუ მოგიშალოს, წელს ალბათ ფიჩხიც აუქციონზე გაიყიდება.

***

–უცხოური ავტობუსები ლეჩხუმშიც ამოაწევენო. გიხარია, არა?

–მე? (?!)

***

–გალის ბაზარი უცხოელებს შეუსყიდიათ, უმეტესწილად ჩინელებს, ქართველებს იქიდან ერეკებიან.

–ჩინელებს ცაგერიც მოწონებიათო, ამბობენ „ბოროტი" ენები.

რედაქტორი
თამარ დავითულიანი

პასუხისმგებელი მდივანი
მზევინარ ჭნელაძე

სარედაქციო კოლეგია:
მაკა ყვირილიანი,
მარინა სვანიძე,
მაკა ზენდელიანი

მისამართი:
ცაგერი, რუსთაველის №47 მობ: 899 951678

გაზეთი აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქუთაისის შპს „მანდარიას სტამბაში"
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №33
ტელ: 23779, 23499